ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი
ნოდარ ბელქანია

დაიბადა 1952 წლის 19 ოქტომბერს.

აკადემიური თანამდებობა:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

განათლება:
1969-1974 წწ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის დოქტორი

სამუშაო გამოცდილება:
2016 –ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი;

2008 – დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ ხელმძღვანელი;

2010 – 2012 წწ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

2007 – 2010 წწ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;

2005 – 2008 წწ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

2002 – 2005 წწ.– თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი;

1990 – 1992 წწ. თბილისი მენეჯერთა სკოლის დოცენტი;

1990 – 1998 წწ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი;

1981 – 1985 წწ. – საქართველოსს სსრ მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული მართვის ინსტიტუტის ფსიქოლოგიის სექტორის ხელმძღვანელი;

1978 – 1990 წწ. – თსუ ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის 1981 წლიდან კი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მასწავლებელი;

კვლევის ძირითადი მიმართულებები:
სოციალური ფსიქოლოგია, ორგანიზაციის ფსიქოლოგია, ორგანიზაციის განვითარება, ფსიქოლოგიის ისტორია, განვითარების ფსიქოლოგია, ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია, ორგანიზაციის თეორია, ორგანიზაციის კონსულტირების ფილოსოფიური და ეთიკური საფუძვლები, აღმოსავლეთის და დასავლეთის ცივილიზაციები.

პროფესიული ასოციაციებისა და სარედაქციო საბჭოების წევრობა:
ნოდარ ბელქანია იყო და არის სხვადასხვა პროფესიული ასოციაციის წევრი, მათ შორის: საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაცია, საქართველოს სოციოლოგთა ასოციაცია, ორგანიზაციის კონსულტანტთა ევროპული ასოციაცია. ლიუბლინის (პოლონეთი) მარი კლოდოვსკაია-კიურის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის ,,აღმოსავლეთი ევროპა'' სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ნოდარ ბელქანია არის 1 მონოგრაფიის, 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის შემსრულებელი და ხელმძღვანელი.